



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ციფრული და გეომეტრიული მოდელირება

შეფასების თარიღი 19.02.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	20381545
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული და გეომეტრიული მოდელირება
განათლების საფეხური	სადოქტორო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	მედიახელოვნების დოქტორი 0802
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებულია 05.02.2013

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ვეფხვაძე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო გუნია-კუზნეცოვა - ევროსაბჭოსა და კულტურის კომპარატიული კვლევების ევროპული ინსტიტუტის (ERICarts) პროექტის “COMPENDIUM Cultural Policies and Trends in Europe” კულტურის პოლიტიკის ნაციონალური ექსპერტი; კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფის წევრი. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიკა გარსევანიშვილი - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და მდებარეობს ქ. თბილისში (გრიბოედოვის ქ. N 22, 0108, თბილისი, საქართველო). სწავლების ენა ქართულია. პროგრამის დანერგვის ძირითადი საფუძველია ის გარემოება, რომ სადოქტორო პროგრამა „ციფრული და გეომეტრიული მოდელირება“ წარმოადგენს ქვეყნის აკადემიურ ბაზარზე ერთ-ერთ ექსკლუზიურ აკადემიურ პროგრამას, რომელიც ორიენტირებულია როგორც ფუნდამენტური კვლევის განმახორციელებელი ტრადიციულ გეომეტრიულ მეცნიერებაში, ასევე შემოქმედებით საქმიანობაში უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების ექსპერიმენტულ კვლევასა და გამოყენებაში. სადოქტორო პროგრამის ძლიერ მხარეს საკვლევი თემატიკის აქტუალობა და მნიშვნელობა წარმოადგენს. პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებული არიან ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების N95 – 12.02.2018 (აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ვიზიტის შესახებ) საფუძველზე 2018 წლის 19 თებერვალს. ვიზიტის წინა დღეს, 18 თებერვალს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი 13.00 საათზე და 15.00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს ინტერვიუების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

19 თებერვალს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 09.00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა თსსა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამაში ჩართულ სტუდენტებთან, მედიახელოვნების ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული და გეომეტრიული მოდელირება“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, თუმცა, მიზანშეწონილია მათი დაკონკრეტება, რასაც ქვემოთ დეტალურად შევხებით. თსსა ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობებზე. პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნიადი, დეფიციტური კადრების მომზადებაზე. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენელ ორგანიზაციებთან, რაც კარგ საფუძველს ქმნის კურსდამთავრებულთა მომავალი დასაქმების მიმართულებით. თსსა

სტუდენტები იღებენ აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სასწავლო თუ კვლევითი პროცესების დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად. აკადემიის ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროცესის, პროგრამების და აქტივობების შესახებ. დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა, რაც ასახულია შესაბამისი სილაბუსებში კონკრეტული დღეებისა და საათების მითითებით. სურვილის შემთხვევაში, თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, წინასწარი შეთანხმებით, შეხვდეს აკადემიურ პერსონალს და გაიაროს კონსულტაცია. დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში და ასევე, სხვადასხვა კვლევით პროექტში. თსსა ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების განვითარებაზე. ამავე დროს, სასურველია პროგრამის მესვეურთა მეტი აქტიურობა მომავალი დოქტორების განათლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის გაზრდაზე. აკადემიას გააჩნია აკადემიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების აკადემიური პერსონალით. აკადემიური პერსონალი შერჩეულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის წარმატებულად განხორციელებას უზრუნველყოფს ფაკულტეტისა და აკადემიის ადმინისტრაცია.

▪ რეკომენდაციები

არ არის.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პრეამბულა

2013 წელს, სადოქტორო პროგრამის „ციფრული და გეომეტრიული მოდელირება“ პირველი აკრედიტაციისათვის, პროგრამაში არ იყო გათვალისწინებული ციფრული ტექნოლოგიების ტექნდენციების შემსწავლელი ინტერდისციპლინური კურსები. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხრიდან არსებობდა გარკვეული მოლოდინები, რომ პროგრამაზე ჩაბარების სავარაუდო მსურველ აპლიკანტთა ცოდნა და კომპეტენციები ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით იმდენად მაღალი იყო, რომ პროგრამა არ საჭიროებდა კურიკულუმში ამ მიმართულებით დამატებითი სასწავლო კურსების არსებობის აუცილებლობას. ამ ვარაუდის არგუმენტირებულობა დასტურდება კურსდამთავრებულთა სადოქტორო ნაშრომების აქტუალობით და ხარისხით, რამაც განაპირობა მათი დასაქმება პრესტიჟულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამუშაო ადგილებზე.

პროგრამის რე-აკრედიტაციამდე განვლილი საანგარიშო პერიოდის (2013-2018 წწ) ანალიზმა, მათ შორის - სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვებმა და სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველ აპლიკანტთა აკადემიური ხარისხებისა და შესაბამისი კვალიფიკაციების ანალიზმა - ცხადყო, რომ წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთა დიაპაზონი ძალზე გაფართოვდა - სახვითი ხელოვნების და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროს წარმომადგენლებიდან, ზუსტი და ტექნიკური მეცნიერების წარმომადგენლებამდე. შესაბამისად, სხვადასხვა დარგობრივი ცოდნისა და კომპეტენციების მქონე დოქტორანტების ერთ პროგრამაზე სწავლებისა და სასურველ შედეგებზე გასასვლელად, პროგრამის განვითარებამ მოითხოვა კურიკულუმში ციფრული ტექნოლოგიების შემსწავლელი უნიფიცირებული სასემინარო კურსების შემოტანა,

რომლებიც დარგობრივ ცოდნაში საშუალო კომპეტენციების მქონე დოქტორანტებზეა გათვლილი.

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციები დადასტურებულია შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომების წარმატებული დაცვითა და კურსდამთავრებულთა განათლების აღიარებით ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, თუმცა, ზემოთ მოყვანილი გარემოებებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სასურველია უნიფიცირებული მიდგომები შეიცვალოს და პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობა მკაფიოდ განისაზღვროს აპლიკანტთა კვალიფიკაციის დაკონკრეტებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრთა რჩევები აღნიშნული პროგრამის განვითარების პერსპექტივით შემდეგია:

პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, თუმცა, სასურველია მათი დაკონკრეტება. კერძოდ, პროგრამის განვითარებისთვის უმჯობესი იქნება, თუკი პროგრამაზე დაშვების წინაპირობა დაკონკრეტებული იქნება რელევანტური კვალიფიკაციის სამაგისტრო დიპლომის მოთხოვნით ან/და სპეციალური ტესტირების საშუალებით (სადაც დაკონკრეტებული იქნება სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა ციფრული ტექნოლოგიების სფეროში შესაბამისი კომპეტენციების სახით და შემუშავდება სადოქტორო პროგრამის მიზნების მისაღწევად აუცილებელი (მაღალი) კომპეტენციების შეფასების მოდელი (გამოცდა, ტესტი)).

მიზანშეწონილია კვლევით კომპონენტში გამოიკვეთოს შემოქმედებითი ექსპერიმენტისა და ანალიტიკური ნაწილის წილი კრედიტებში.

მიზანშეწონილია სასწავლო კომპონენტის გაზრდა ძირითადი ბლოკის გამსხვილებით (ციფრული ტექნოლოგიების მომცველი კურსების „არჩევითიდან“ სავალდებულო/ძირითად ბლოკში გადმოტანის ხარჯზე). უფრო კონკრეტულად, უპრიანია, ციფრული ტექნოლოგიების მომცველი ინტერდისციპლინური სემინარების სტატუსი შეიცვალოს და „არჩევითიდან“ „სავალდებულო“, ანუ ძირითადი კურსების ნაწილში გადავიდეს. ანუ, იმ აპლიკანტებისთვის, რომლებიც განათლების წინა საფეხურებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის მიხედვით ვერ ფლობენ სათანადო კომპეტენციებს ციფრულ ტექნოლოგიებში, მიზანშეწონილია ციფრული ტექნოლოგიების შემსწავლელ კურსებზე დაშვების წინაპირობები იყოს დაკონკრეტებული და გამკაცრებული. ამასთან, მათთვის ციფრული ტექნოლოგიების შემსწავლელი კურსები უფრო გაღრმავებული შინაარსით და გაზრდილი მოცულობით უნდა იყოს სავალდებულო ბლოკში ინტეგრირებული.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ, არჩევითი ბლოკის გამრავლავფეროვნებაში და კერძოდ, ინტერდისციპლინური სემინარების: „თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები“ (Adobe Photoshop, Adobe Illustrator, Adobe InDesign ბაზაზე და 3D MAX, Auto CAD, Maya, ZBrush ბაზაზე) შემუშავებასა და ჩართვაში გამოიხატება.

კურსდამთავრებულის დიპლომის აღიარება ევროპაში, მისი ცოდნისა და კომპეტენციების აღიარება ევროკავშირის დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

თსსა სადოქტორო პროგრამის დებულებით განსაზღვრულია თითოეული დოქტორანტის ვალდებულება საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის შემდეგ გამოსაცემად მოამზადოს მონოგრაფია. ფაკულტეტი აფინანსებს ამ გამოცემებს, მონოგრაფიები იბეჭდება თსსა სამეცნიერო კვლევების გრიფით, რაც უახლესი ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის სარგებლობის საშუალებას აძლევს თსსა სტუდენტებს. შესაბამისად, ფაკულტეტის მიერ აღნიშნული გამოცემების დაფინანსება საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

თსსა სადოქტორო პროგრამების ფინანსური მენეჯმენტის ერთიანი რეგულაცია, რომლის თანახმადაც, დოქტორანტები იხდიან მხოლოდ სასწავლო კომპონენტის ღირებულებას სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი ტარიფის მიხედვით.

▪ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა - ციფრული და გეომეტრიული მოდელირება - შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის სამეცნიერო ბაზარზე ერთ-ერთ ექსკლუზიურ აკადემიურ პროგრამად, რომელიც ორიენტირებულია როგორც ფუნდამენტური კვლევის განმახორციელებელი ტრადიციულ გეომეტრიულ მეცნიერებაში, ასევე შემოქმედებით საქმიანობაში უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების ექსპერიმენტულ კვლევისა და გამოყენებაში.

სადოქტორო პროგრამის ძლიერ მხარეს საკვლევი თემატიკის აქტუალობა და მნიშვნელობა წარმოადგენს.

პროგრამა მოთხოვნიდა როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე. სწორედ ამიტაა განპირობებული, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებული არიან ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ.

2013 წლის აკრედიტაციის შემდეგ სადოქტორო პროგრამამ განიცადა გარკვეული მოდიფიკაცია, განსაკუთრებით არჩევითი ბლოკის საგნების გამრაველფეროვნების კუთხით. არჩევითი კურსები მეტწილად ინტერდისციპლინურ მიდგომას ეფუძნება და ძირითად საგნებთან ერთობლიობაში დოქტორანტებს ბაზარზე მოთხოვნად და აუცილებელ კომპეტენციებს უვითარებს. შესაბამისად, პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მისი ლოგიკურად აგებული სტრუქტურა, გონივრული ბალანსი სასწავლო კომპონენტებსა, სპეციალობის სემინარებსა და არჩევით ინტერდისციპლინარულ სემინარებს შორის. სპეციალობის სემინარებთან ერთად სავალდებულოა ინტერდისციპლინური სემინარის გავლა დოქტორანტის სამეცნიერო და პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით და შერჩეული თემატიკის მიხედვით.

სპეციალობისა და ინტერდისციპლინური სემინარების ბიბლიოგრაფია და მასალები კვლევების ხელმისაწვდომ და საკმაოდ სოლიდურ ფონდს ქმნის.

პროგრამის თავისებურებას წარმოადგენს დებულებით გაწერილი რეგულაცია, რომლის თანახმად ნაშრომის საჯარო დაცვის შემდეგ, დოქტორანტს შეუძლია გამოსცეს მონოგრაფია/წიგნი არსებული კვლევის შესაბამისად. ამით გამდიდრდება, როგორც თსსა სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ასევე ქვეყნის მასშტაბში. დოქტორანტი აგრძელებს მუშაობას ნაშრომის სხვა ფორმატში გამოსაცემად, კვლევა აუცილებლად გადის სამეცნიერო

რედაქტირებას, თსსა ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ავტორს და ნაწილობრივ აფინანსებს სამეცნიერო მონოგრაფიის/წიგნის გამოცემის ხარჯებს.

მედიახელოვნების ფაკულტეტის ვიზუალური კომინიკაციისა და მედიახელოვნების ინსტიტუტი ციფრული და გეომეტრიული მოდელირების პროგრამის დოქტორანტებს აძლევს საშუალებას ექსპერიმენტული კვლევები ჩაატაროს ინსტიტუტის ბაზაზე - იყვნენ ჩართულები, როგორც საერთაშორისო კვლევებში, ასევე ქვეყნის შიდა კვლევებში.

სადოქტორო პროგრამის დადებითი მხარეა თსსა მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდი, რომელიც, ერთი მხრივ, მოიცავს უნიკალურ წიგნად ფონდებს, მათ შორის შექმნილს მიზანმიმართულად რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტისთვის უცხოელი პარტნიორების დახმარებით (მაგ., ჯ. კეგლის კაბინეტი), მეორე მხრივ, ბიბლიოთეკის ჩართულობა ისეთ ელექტრონულ სისტემებში, რომლებიც იყენებენ ელექტრონულ რესურსებს: Grove Art Online, EBSCOHost.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის - ციფრული და გეომეტრიული მოდელირება - ზოგად დახასიათებაში აღნიშნულია:

„პროგრამის მიზანია კომპიუტერული ტექნოლოგიების ფონზე გეომეტრიულ მოდელირებაში სწავლების ტრადიციული მეთოდოლოგიის მოდერნიზაცია და სინქრონიზაცია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, რაც მედიახელოვნების დარგის სამეცნიერო განვითარების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია“.

„სადოქტორო პროგრამის ამოცანაა მედიახელოვნების სფეროში თანამედროვე მკვლევარის აღზრდა, რომლის ცოდნაც ემყარება თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობების და ტრადიციული დისციპლინების სინთეზს და მისი მომზადება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის“

კონკრეტული მიზნები და საკვლევი თემატიკა შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული :

„სადოქტორო პროგრამის უმთავრესი მიზანია :

- ციფრულ და გეომეტრიულ მოდელირებაში მიმდინარე პროცესების გააზრება და ამ სფეროში უახლესი და ღრმა ცოდნის შეძენა;
- მოცემულ სფეროში ახალი ცოდნის ფორმირება, რომელიც დოქტორანტის მიერ ჩატარებულ ორიგინალურ კვლევას ემყარება;
- ციფრულ და გეომეტრიულ მოდელირებაში მიღებული ცოდნის კრეატიულ სფეროში ინტეგრაცია;
- ციფრული და გეომეტრიული მოდელირების მონათესავე დისციპლინებში დაგროვილი ცოდნის საკუთარი კვლევითი სამუშაოს დაგეგმვისა და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისათვის გამოყენება;
- დოქტორანტურაში მიღებული ცოდნის გადაცემის უნარის ჩამოყალიბება;
- დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევითი სამუშაოს დაგეგმვის და წარმართვისათვის აუცილებელი ჩვევების ჩამოყალიბება როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკულ სფეროში; დამოუკიდებელი მუშაობის უნარების გამომუშავება;
- კვლევის ახალი და უახლესი მეთოდების დანერგვა და მათი პრაქტიკული გამოყენება სამეცნიერო მუშაობაში.“

„საკვლევი თემატიკა:

სადოქტორო პროგრამის სავარაუდო საკვლევი თემატიკა მოიცავს ციფრული და გეომეტრიული მოდელირების ყველა დარგის - ვიზუალური და სახვითი ხელოვნების, არქიტექტურის, დიზაინის და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა, შემოქმედთა, მხატვრულ მიმდინარეობათა აქტუალური პრობლემების კვლევას ტრადიციული და მულტიტექნოლოგიური საშუალებებით. საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ნაშრომი სრულდება კონკრეტული თემის ანალიზის ან შედარებითი კვლევის ფორმატში.“

პროგრამის მიზნების, ამოცანებისა და საკვლევი თემატიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამის სწავლებისა და კვლევის კომპონენტების განხორციელებას, და შესაბამისად, ახალი ცოდნის შექმნას ორი ძირითადი მიმართულება განაპირობებს:

1. მათემატიკურ/ტექნიკური კვლევა („გეომეტრიული მოდელირების კვლევა სინთეზური აპარატით“); 2. მათემატიკური/ ტექნიკური მეთოდით შემოქმედებითი ექსპერიმენტების წარმოება („ციფრულ და გეომეტრიულ მოდელირებაში მიღებული ცოდნის კრეატიულ სფეროში ინტეგრაცია“); ამ ორი მიმართულების გაერთიანება პროგრამას ძალზე მნიშვნელოვანს ხდის სახელოვნებო სფეროსთვის. ამასთან, მეტ მნიშვნელობას იძენს პროგრამის სასწავლო ნაწილის არჩევითი ინტერდისციპლინური სემინარების „თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები“ (Adobe Photoshop, Adobe Illustrator, Adobe InDesign ბაზაზე და 3D MAX, Auto CAD, Maya, ZBrush ბაზაზე) სტატუსი, შინაარსი და მოცულობა. დოქტორანტის პროგრამაზე დაშვების წინაპირობით გათვალისწინებული სამაგისტრო კვალიფიკაციის და საკვლევი თემის შესაბამისად, ამ სემინარებს სხვადასხვა დატვირთვა შეიძლება გააჩნდეს: 1. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები პროგრამის კვლევით ნაწილში მოაზრებული შემოქმედებითი ექსპერიმენტის ტექნიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს (შემოქმედებით ექსპერიმენტს ცალკე კრედიტები არ აქვს მინიჭებული). 2. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები/ტექნოლოგიების ტენდენციები ცალკე ანდა სხვა თემასთან ინტეგრირებულად კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ორივე შემთხვევაში ციფრული ტექნოლოგიების მომცველი სემინარები თავისი მნიშვნელობით აღემატება „არჩევითი“ კურსის სტატუსს და პროგრამის განვითარებისათვის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ პროგრამა არ ისახავს მიზნად სახელოვნებო კვლევების ზუსტი მათემატიკური მეთოდებით წარმოებას, რაც მკვლევარისაგან გაცილებით რთულ ინტერდისციპლინურ მიდგომას მოითხოვდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტო პროგრამის თვითშეფასება ○ სადოქტო პროგრამა ○ სილაბუსები ○ შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ციფრული ტექნოლოგიების მომცველი ინტერდისციპლინური სემინარების სტატუსი სასურველია შეიცვალოს და „არჩევითიდან“ „სავალდებულო“, ანუ ძირითადი კურსების ნაწილში გადავიდეს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ინტერდისციპლინური სემინარების შემუშავება და ჩართვა პროგრამაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ, არჩევითი ბლოკის გამრავლაფეროვნებაში და კერძოდ, ინტერდისციპლინური სემინარების: „თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები“ (Adobe

Photoshop, Adobe Illustrator, Adobe InDesign ბაზაზე და 3D MAX, Auto CAD, Maya, ZBrush ბაზაზე) შემუშავებასა და ჩართვაში გამოიხატება.

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 ECTS :

1. სასწავლო კომპონენტი მოიცავს 50 ECTS:

- საფაკულტეტო საგნები (სავალდებულო) -20 ECTS,
- სემინარი სპეციალობაში (სავალდებულო 2 სემინარი) -20 ECTS,
- არჩევითი ინტერდისციპლინარული სემინარი - 5 ECTS,
- პედაგოგიური პრაქტიკა - 5 ECTS.

„სასწავლო კომპონენტი გულისხმობს დოქტორანტის უზრუნველყოფას გენერალიზებული სალექციო კურსებით, სემინარული მუშაობით სპეციალობაში და ინტერდისციპლინარული არჩევითი სემინარებით.“

კვლევითი ექსპერიმენტების ჩატარების ტექნიკის სწავლებას უზრუნველყოფს შემდეგი ძირითადი სასწავლო კურსები:

- გეომეტრიული მოდელირების კვლევის თანამედროვე მეთოდები - 5 ECTS
- თანამედროვე ციფრული მედიის კვლევითი ასპექტები - 5 ECTS
- სემინარი სპეციალობაში -ციფრული და გეომეტრიული მოდელირება - 10 ECTS
- სემინარი სპეციალობაში - გეომეტრიული გარდაქმნები და ციფრული მედია - 10 ECTS

სასწავლო კომპონენტის ანალიზმა ცხადყო, რომ ძირითადი საფაკულტეტო საგნების, სპეციალობის სავალდებულო ორი სემინარისა და ექვსი არჩევითი კურსიდან - ოთხის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ხოლო არჩევითი ინტერდისციპლინარული სემინარიდან ორის - თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები Adobe Photoshop, Adobe Illustrator, Adobe InDesign ბაზაზე.

და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები 3D MAX, Auto CAD, Maya, ZBrush ბაზაზე - სატატუსი და მოცულობა არასაკმარისია სადოქტორო პროგრამის უმთავრეს მიზანთან „ციფრულ და გეომეტრიულ მოდელირებაში მიმდინარე პროცესების გააზრება და ამ სფეროში უახლესი და ღრმა ცოდნის შეძენა“ მიმართებით, იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარებისას უკვე არ ფლობს აუცილებელ კომპეტენციებს ციფრულ ტექნოლოგიებში.

ამ მიზნის მისაღწევად დოქტორანტი ციფრული ტექნოლოგიების სფეროში გადრმავებულ კომპეტენციებს უნდა ფლობდეს, რომ შეძლოს სადოქტორო პროგრამის მნიშვნელობისა და შინაარსის შესაბამისი უახლესი ცოდნის შეძენა, კრეატიულ სფეროში მისი ინტეგრაცია და ახალი ცოდნის შექმნა.

ზემოაღნიშნული არჩევითი ინტერდისციპლინური სემინარების პროგრამის მიზანთან ნაკლებად შესაბამისობა განპირობებულია სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის დაუკონკრეტებელ წინაპირობასთან, მაგალითად:

ა) თუ კომპეტენციები ციფრულ ტექნოლოგიებში დაბალია, შეთავაზებული კურსის თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები 3D MAX, Auto CAD, Maya, ZBrush ბაზაზე მოცულობა 5 ECTS არასაკმარისია სილაბუსით გათვალისწინებული შედეგის მისაღწევად (სხვადასხვა სამგანზომილებიანი პროგრამის ათვისება საწყისი ეტაპიდან ანიმაციამდე ერთი სემესტრის /24 საკონტაქტო საათის ფარგლებში სათუთა (მინუმუმ, დოქტორანტის უნიკალურ მონაცემებს მოითხოვს).

შესაბამისად, დოქტორანტი ვერ აითვისებს სრულყოფილად ვერც-ერთ პროგრამას; სრულყოფილად ვერ ისარგებლებს ამ ინსტრუმენტებით ვერც შემოქმედებითი ექსპერიმენტის, და ვერც ღრმა ანალიტიკური კვლევის ჩასატარებლად, რაც სადისერტაციო ნაშრომის განსახორციელებლად აუცილებელი პირობაა. ცხადია, დოქტორანტისთვის საკვლევი თემა ვერ იქნება თავად ციფრული მოდელირება.

ბ) თუ კომპეტენციები ციფრულ ტექნოლოგიებში მაღალია, შეთავაზებული კურსის „თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები 3D MAX, Auto CAD, Maya, ZBrush ბაზაზე“ შინაარსი უკვე კარგად ნაცნობი იქნება, და ვერ მისცემს დოქტორანტს აუცილებელ უახლეს ცოდნას, რის გამოც, ასევე შეუსაბამო იქნება.

ამდენად, სტუდენტის მაღალი კომპეტენციის შემთხვევაში კურსის შინაარსი უნდა გართულდეს და საწყისი ეტაპი უფრო მაღალი საფეხურიდან დაიწყოს.

კურსის შინაარსის გართულების, მოცულობის გაზრდისა და სტატუსის ამაღლების შემთხვევაში, მაღალი კომპეტენციის მქონე დოქტორანტი შეძლებს ციფრული მოდელირების საკვლევი თემის გაფართოებას და ახალი ცოდნის შექმნას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა სასწავლო კომპონენტისათვის (50 ECTS) კრედიტების რაოდენობის გაზრდა.

2. კვლევითი კომპონენტი მოიცავს 130 ECTS :

- 2 კოლოქიუმი (20 ECTS)
- სადოქტორო ნაშრომი (110 ECTS)

„საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ნაშრომი სრულდება კონკრეტული თემის ანალიზის ან შედარებითი კვლევის ფორმატში“.

კვლევითი კომპონენტის ნაწილი, რომელიც ეთმობა შემოქმედებით ექსპერიმენტს, არ არის გამოყოფილი და არ აქვს მინიჭებული კრედიტები; შესაბამისად, კვლევის ანალიტიკური ნაწილის წილიც არ არის განსაზღვრული კონკრეტული კრედიტების რაოდენობით.

ინტერვიუს დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია, შემოქმედებით ექსპერიმენტს დაეთმოს კოლოქიუმის 20 ECTS.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o სადოქტორო პროგრამის თვითშეფასება

○ სადოქტორო პროგრამა ○ სილაბუსები ○ შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან ○ შეხვედრა დოქტორანტებთან
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია დაკონკრეტდეს სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა ციფრული ტექნოლოგიების სფეროში შესაბამისი კომპეტენციების სახით და შემუშავდეს სადოქტორო პროგრამის მიზნების მისაღწევად აუცილებელი (მაღალი) კომპეტენციების შეფასების მოდელი (გამოცდა, ტესტი). • სასურველია კვლევით კომპონენტში გამოიკვეთოს შემოქმედებითი ექსპერიმენტისა და ანალიტიკური ნაწილის წილი კრედიტებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 ECTS - 25 აკად/სთ. რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებიც. პროგრამა გრძელდება 3 წელი (6 სემესტრი) და 180 კრედიტიანია. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა იძლევა საშუალებას დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის სწავლის შედეგების აღმწერის შესაბამისად. კერძოდ, სწავლის მეთოდები ძირითადად ემთხვევა მიღებულ სტანდარტებს და უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შემდეგი კომპეტენციების გამომუშავებას: „ცოდნა და გაცნობიერება • დოქტორანტს შეუძლია გეომეტრიულ მოდელირებაში კვლევითი სამუშაოს სინთეზური აპარატით, წმინდა თეორიული ან კონკრეტული პრაქტიკული, შესაბამისი მოთხოვნით განპირობებული პრობლემის გაანალიზება-გააზრება; • აქვს ცოდნა ციფრული და გეომეტრიული მოდელირების ფუნდამენტურ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე; • აქვს დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც ემყარება მეცნიერების უახლეს მიღწევებს;

- ღრმად იცნობს საკვლევ პრობლემატიკას და აცნობიერებს მისი გადაჭრის სამეცნიერო მიდგომებსა და მეთოდებს;
- კურსდამთავრებულმა იცის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ძირითადი პროცესები, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის არსი, ბოლონიის პროცესის მახასიათებლები და მისი ძირითადი ამოცანები, საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების ძირითადი პრინციპები, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნები; ფლობს უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდების საფუძვლებს, აცნობიერებს მის მიზნებსა და შედეგებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- შეუძლია სამეცნიერო გამოკვლევის მეშვეობით შეიტანოს თავისი წვლილი პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემატიკის გადაწყვეტაში და ნოვაციით გააფართოვოს ცოდნის საზღვრები;
- შეუძლია მიაღწიოს ისეთ შედეგს, რომელიც თავისი მნიშვნელობით შეიძენს ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ხასიათს, ხოლო კვლევის მეთოდოლოგია – საერთაშორისო აღიარებას;
- შეუძლია ცოდნა გადასცეს და აღზარდოს ახალგაზრდა თაობა, მისცეს მათ ღრმა ცოდნა თავის დარგში;
- განვითარებული აქვს კვლევის ინტერდისციპლინარული მეთოდების შემუშავებისა და გამოყენების უნარი, რაც თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტების დაცვით შემუშავებულ სამეცნიერო პუბლიკაციებში აისახება.

დასკვნის უნარი

- შეუძლია ახალი იდეების ანალიზი, შეფასება და სინთეზი;
- შეუძლია გრაფიკულ დისციპლინათა გეომეტრიული შინაარსის სამეცნიერო-კვლევითი პროცესების ანალიზი და პროგნოზირება;
- გააჩნია თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით კრეატიულ/შემოქმედებითი სინთეზური ანალიზის უნარი;
- აქვს კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია კომუნიკაცია, მათ შორის უცხო ენაზე, კოლეგებთან, მეცნიერთა ფართო საზოგადოებასთან და საერთაშორისო საზოგადოებასთან;
- შეუძლია სამეცნიერო დისკუსიის წარმართვა კვლევის შედეგების, ახალი ცოდნის ფართე საზოგადოებისთვის წარდგენის მიზნით;
- შეუძლია აქტიური მონაწილეობა პროფესიულ დისკუსიებში, გამოფენებში, სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში;
- ფლობს პრეზენტაციის ვიზუალურ და ვერბალურ უნარებს;
- აქვს საქმიანი საუბრების წარმართვის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარჩვევები.

სწავლის უნარი

- დოქტორანტს შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მისი წარმართვა მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით;
- დოქტორანტი მზადაა განავითაროს სასწავლო პროცესი ახალ ცოდნაზე დაფუძნებული ორიგინალური იდეების მეშვეობით, დანერგოს ისინი კვლევით საქმიანობაში.

ღირებულებები

- აცნობიერებს ტრადიციული სამეცნიერო ღირებულებების როლსა და მნიშვნელობას, იკვლევს თანამედროვე სამყაროში ახალი ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესს და გზებს და შეიმუშავებს მათი დამკვიდრების ორიგინალურ მეთოდებს.“

პროგრამის კომპონენტების, სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების ანალიზმა ცხადყო, რომ პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის ძირითადი შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია. ამასთან, მიზნის „ციფრულ და გეომეტრიულ მოდელირებაში მიღებული ცოდნის კრეატიულ სფეროში ინტეგრაცია“ მისაღწევად და შესაბამისი კომპეტენციების („ცოდნა და გაცნობიერება - აქვს ცოდნა ციფრული და გეომეტრიული მოდელირების ფუნდამენტურ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - გააჩნია თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით კრეატიულ/შემოქმედებითი სინთეზური ანალიზის უნარი“) შესაძენად, მასში უფრო მაღალი შედეგზე გასასვლელად, უმჯობესია პროგრამის განვითარება და მის კომპონენტების ერთობლიობაში აქცენტების მცირე გადანაცვლება. კერძოდ, სასწავლო კომპონენტის გაზრდა ძირითადი ბლოკის გამხსვილებით (ციფრული ტექნოლოგიების მომცველი კურსების არჩევითიდან ძირითად ბლოკში გადმოტანის ხარჯზე).

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შესრულებულ და დამტკიცებულ სადისერტაციო ნაშრომებს (ორი სადისერტაციო ნაშრომი), რომლებმაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჯგუფის წევრებზე - დარგობრივ აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობის, მაღალი აკადემიური ხარისხისა და სასწავლო-მეთოდოლოგიური სიახლეების თვალსაზრისით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მესამე სადისერტაციო ნაშრომის დაცვა დანიშნული იყო ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ, 20 თებერვალს და ექსპერტები მიწვეულ იქნენ ამ სადისერტაციო ნაშრომის ღია დაცვაზე.

აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულების მიერ დაცული სადოქტორო ნაშრომები სრულად პასუხობს პროგრამით დასახულ მიზნებს და ამოცანებს; სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია, რაც დასტურდება ამ კურსდამთავრებულების დასაქმებით, როგორც საქართველოში (თსსა-ის აკადემიური პერსონალად), ასევე საზღვარგარეთ (შენგენის ზონაში) დიპლომის აღიარებითა და სპეციალობის შესატყვისი სამუშაო ადგილით.

აქ წარმოვადგენთ მედიახელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის - ციფრული და გეომეტრიული მოდელირება - კურსდამთავრებულთა, აქტიურ დოქტორანტთა და სტატუსს შეჩერებულ დოქტორანტთა საკვლევი თამატიკის ჩამონათვალს:

	გვარი, სახელი	დისერტაციის თემა
კურსდამთავრებულები		
1	ერისთავი რუსუდან	„გეომეტრიული გარდაქმნების გამოყენება სამეცნიერო-საგანმანათლებლო მედიის დაპროექტებაში“
2	კვირიკაძე ქეთევან	„სტილის პრობლემატიკის ანალიზი ქართულ ვებ-დიზაინში და მისი მხატვრული ფორმის გეომეტრიული მოდელირება“
3	მიქელაძე ლუკა	„სივრცული და შემოქმედებითი აზროვნება ციფრულ მოდელირებაში და მათი გამოსახვის საშუალებები“
აქტიური დოქტორანტები		
1	ჯაფარიძე დავით	გეომეტრიული ზედაპირების მხატვრული და ფუნქციური როლი თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებაში“
2	დავითაშვილი მარიამ	„ციფრული ფოტოგრაფიისა და აუგმენტური რეალობის როლი ჰიპერტექსტსა და ჰიპერმედიაში“

3	გაგოშიძე ქეთევან	„სივრცე, ფორმა და ფუნქცია“
4	ლიპარტელიანი ია	„ქ. თბილისის საფეხმავლო ქსელის ციფრული მოდელირება-პროექტირება (ფერი, ფორმა,განათება)“
5	ნიკოგოსიანი ნინა	„სარეკლამო დიზაინი მარკეტინგულ კომუნიკაციაში“
6	ჯანელიძე მარიამ	„კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება მხატვრული დიზაინის სწავლებაში“
7	აფხაძე თეა	„რასტრული და ვექტორული გრაფიკის შესაძლებლობები“
8	იაშვილი მარიამ	„ფრაქტალური გეომეტრია ციფრულ მედიასა და გრაფიკულ დიზაინში“
9	დოგრაშვილი შოთა	„დიზაინის როლი სტამბასთან და სააგენტოებთან კომუნიკაციაში“
10	დარსაველიძე თამარ	„ციფრული და გეომეტრიული ხერხების გამოყენება თანამედროვე რეკლამის დაპროექტებაში“
11	დარჩიაშვილი გიორგი	„ფოტოგრაფია რეალობის ასახვის ზღვარზე“
სტატუს შეჩერებული დოქტორანტები		
1	დარჯანია მიხეილ	„ძველი თბილისის ისტორიული სახის ციფრული რესტავრაცია და რეკონსტრუქცია ვირტუალური რეალობის სისტემაში“
2	კილაბერიძე თინათინ	„ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება და მისი გავლენა თანამედროვე ადამიანის საცხოვრებელ სივრცეზე“
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტო პროგრამის თვითშეფასება ○ სადოქტო პროგრამა ○ სადისერტაციო ნაშრომები ○ სილაბუსები ○ ინტერვიუს შეგდეგები (პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან)		
რეკომენდაციები:		
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია არჩევითი ციფრული ტექნოლოგიების მომცველი ინტერდისციპლინური სემინარების სატატუსი ამაღლდეს და გაიზარდოს მათი მოცულობა. • სასურველია არჩევითი ბლოკი უფრო გაფართოვდეს სადოქტორო ნაშრომების მრავალფეროვანი საკვლევი თემატიკის შესაბამისად.		
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):		

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დამსაქმებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ მათი მოლოდინები კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობისა და მოთხოვნების კუთხით შესაბამისობაშია პროგრამით წარმოდგენილ სასწავლო კურსებთან და კვლევით/შემოქმედებით ექსპერიმენტების შედეგებთან.

დამსაქმებლების მიერ აღნიშნულ იქნა, რომ სასურველია გამრავალფეროვნდეს სასწავლო კომპონენტის არჩევითი ბლოკი იმ საგნებით, რომელიც რელევანტურია ბაზრის მოხოვნებისა და ხელს შეუწყობს დოქტორანტებს საკუთარი თავის დამკვიდრებაში როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. იგივე სურვილი გამოთქვეს პროგრამის კურსდამთავრებულებმაც.

კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ პროგრამის კომპონენტების ერთობლიობამ უზრუნველყო კომპეტენციების იმგვარი დონის მიღწევა, რომ ისინი კონკურენტულნი არიან ქართულ ბაზარზე, ხოლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულმა ინტერნაციონალურმა აქტივობებმა მათი კომპეტენციები აამაღლა და გარკვეულწილად საერთაშორისო ბაზრის რელევანტური გახადა. კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ მათ მიერ ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და დაცული ნაშრომების ხარისხმა უზრუნველყო მათი დასაქმება საქართველოში და დიპლომის აღიარება და დასაქმება ევროკავშირის ოფიციალურ სტრუქტურებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო
- კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები
- შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- შეხვედრა დამსაქმებლებთან
- შეხვედრა კურსდამთავრებულებთან
- შეხვედრა სტუდენტებთან
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) კურსდამთავრებულის დიპლომის აღიარება ევროპაში, მისი ცოდნისა და კომპეტენციების აღიარება ევროკავშირის დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პრესონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სადოქტორო პროგრამის შინაარსი სრულად მოდის შესაბამისობაში დამსაქმებლების მოლოდინებთან და კარგად ჩანს, რაში აისახა დამსაქმებლების მონაწილეობა პროგრამის შემუშავებაში. ამასთან, პროგრამის განვითარებაში გარკვეული წილი შეიტანეს კურსდამთავრებულებმაც. კერძოდ, 2013 წლის აკრედიტაციის შემდეგ სადოქტორო პროგრამამ განიცადა გარკვეული მოდიფიკაცია, განსაკუთრებით არჩევითი ბლოკის საგნების გამრავალფეროვნების კუთხით. არჩევითი კურსები მეტწილად ინტერდისციპლინურ მიდგომას ეფუძნება და ძირითად საგნებთან ერთობლიობაში დოქტორანტებს ბაზარზე მოთხოვნად და აუცილებელ კომპეტენციებს უვითარებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება ☐ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ☐ სილაბუსები ☐ კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები ☐ შეხვედრა დამსაქმებლებთან ☐ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები გამჭვირვალე და ნათელია: დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს შესაბამის სამეცნიერო თემატიკაზე რეფერატი/პრეზენტაცია, სავარაუდო ხელმძღვანელთან შეთანხმებული უნდა ჰქონდეს საკვლევი თემის მიზანშეწონილობა და რელევანტურობა; უნდა წარმოადგინოს პროგრამის ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა; უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო ხელმძღვანელის სარეკომენდაციო წერილი.

ასევე, სწავლის გაგრძელების მსურველმა უნდა წარმოადგინოს ინგლისურ ენის B2 დონის შესაბამისი სერტიფიკატი/ცნობა (თუ სწავლის წინა საფეხური აქვს გავლილი საზღვარგარეთ უცხოურ ენაზე, თავისუფლდება დამატებითი დოკუმენტებისგან) ან ჩააბაროს თსსა-ს მიერ ორგანიზებული გამოცდა.

თუმცა ბუნოდვანებას იწვევს სადოქტორო პროგრამაზე დაშვების პირობების პირველი პუნქტი - მედიახელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველს უნდა ჰქონდეს მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი.; ანუ პროგრამაზე მიღების ეს წინაპირობა ძალზე ზოგადია და არ არის მითითებული, თუ რომელი მიმართულების/დარგის მაგისტრის კომპეტენციებია რელევანტური სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად.

განსაკუთრებით, კითხვებს ბადებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში ციფრული ტექნოლოგიების კომპეტენციების დონის განმსაზღვრელი ტესტის არარსებობა.

ამ დარგში კომპეტენციების განსაზღვრა პირდაპირ კავშირშია პროგრამის სასწავლო კომპონენტის სტრუქტურასთან და კრედიტების მოცულობასთან.

ვინაიდან არჩევით ბლოკში ციფრული ტექნოლოგიების მომცველი ინტერდისციპლინური 2 სხვადასხვა სემინარი მხოლოდ 5 კრედიტის მოცულობით არსებობს, აუცილებელია დაკონკრეტდეს დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრისას შეიძლება სხვადასხვა მიდგომა არსებობდეს:

ა) წინაპირობად რელევანტური კვალიფიკაციის სამაგისტრო დიპლომის დაკონკრეტება, რაც შეზღუდავს სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობას და არეალს;

ბ) მედიახელოვნების ფაკულტეტის მიერ განსაზღვრული ტესტირება (ტესტის საკითხები განთავსდება აკადემიის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე), რაც საშუალებას მისცემს ყველა მსურველს, გამოავლინოს საკუთარი კომპეტენციები, აუცილებელი სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ასათვისებლად და სადოქტორო ნაშრომის შესასრულებლად, ანუ რეალურად მნიშვნელოვანი - ახალი ცოდნის შესაქმნელად.

გამოცდის/ტესტირების შემთხვევაში ტესტები როგორც ციფრულ ტექნოლოგიებს, ასევე გეომეტრიის საკითხებს შეიძლება მოიცავდეს, რადგან ეს ორი მიმართულება სტრატეგიული მნიშვნელობისაა სადოქტორო პროგრამისათვის „ციფრული და გეომეტრიული მოდელირება“.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ხაზგასასმელია, რომ 2013 წელს, სადოქტორო პროგრამის „ციფრული და გეომეტრიული მოდელირება“ პირველი აკრედიტაციისათვის, პროგრამაში არ იყო გათვალისწინებული ციფრული ტექნოლოგიების ტექნდენციების შემსწავლელი ინტერდისციპლინური კურსები. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხრიდან არსებობდა გარკვეული მოლოდინები, რომ პროგრამაზე ჩაბარების სავარაუდო მსურველ აპლიკანტთა ცოდნა და კომპეტენციები ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით იმდენად მაღალი იყო, რომ პროგრამა არ საჭიროებდა კურიკულუმში ამ მიმართულებით დამატებითი სასწავლო კურსების არსებობის აუცილებლობას. ამ ვარაუდის არგუმენტირებულობა დასტურდება კურსდამთავრებულთა სადოქტორო ნაშრომების აქტუალობით და ხარისხით, რამაც განაპირობა მათი დასაქმება პრესტიჟულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამუშაო ადგილებზე.

პროგრამის რე-აკრედიტაციამდე განვლილი საანგარიშო პერიოდის (2013-2018 წწ) ანალიზმა, მათ შორის - სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვებმა და სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველ აპლიკანტთა აკადემიური ხარისხებისა და

შესაბამისი კვალიფიკაციების ანალიზმა - ცხადყო, რომ წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთა დიაპაზონი ძალზე გაფართოვდა - სახვითი ხელოვნების და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროს წარმომადგენლებიდან, ზუსტი და ტექნიკური მეცნიერების წარმომადგენლებამდე. შესაბამისად, სხვადასხვა დარგობრივი ცოდნისა და კომპეტენციების მქონე დოქტორანტების ერთ პროგრამაზე სწავლებისა და სასურველ შედეგებზე გასასვლელად, პროგრამის განვითარებამ მოითხოვა კურიკულუმში ციფრული ტექნოლოგიების შემსწავლელი უნიფიცირებული სასემინარო კურსების შემოტანა, რომლებიც დარგობრივ ცოდნაში საშუალო კომპეტენციების მქონე დოქტორანტებზეა გათვლილი.

ამდენად, პროგრამაზე აპლიკანტთა დაშვების წინაპირობების დაკონკრეტება ექსპერტთა ჯგუფის წევრთა რჩევაა, რომელიც, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხრიდან გათვალისწინების შემთხვევაში უფრო მოქნილს გახდის მას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ სადოქტორო პროგრამის თვითშეფასება
- ☐ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- ☐ შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან
- ☐ ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ☐ სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა იყოს დაკონკრეტებული რელევანტური კვალიფიკაციის სამაგისტრო დიპლომის მოთხოვნით ან/და სპეციალური ტესტირების საშუალებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების მეთოდები ემთხვევა მიღებულ სტანდარტებს:

„სადოქტორო პროგრამის მიმდინარეობისას გამოყენებული იქნება ლექციის, სემინარის, კოლოქვიუმის, აგრეთვე პედაგოგიური პრაქტიკის ფორმატი. სწავლა/სწავლების მეთოდოლოგია ემყარება როგორც ცალკეული მეთოდების გამოყენებას, აგრეთვე მათ

შერწყმას, კონკრეტული სასწავლო დისციპლინის ან პრობლემის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო კომპონენტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მეთოდს წარმოადგენს ანალიზის მეთოდი, რომელიც გამოიყენება სასწავლო და კვლევით კომპონენტთა განხორციელებისას.“

„კვლევითი ექსპერიმენტები ხორციელდება მედიახელოვნების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულ-„ვიზუალური კომუნიკაციისა და მედიახელოვნების ინსტიტუტში“.

ამდენად, პროგრამის ფარგლები გამოყენებული მეთოდების ეფექტურობის დამადასტურებელია საკვალიფიკაციო ნაშრომების ხარისხი და კურსდამთარებულთა პროფესიული მიღწევები.

„დოქტორანტურაში სასწავლო პროცესი შედგება სააუდიტორიო და დამოუკიდებელი მუშაობისაგან. სააუდიტორიო მეცადინეობების პროცესში ჭარბობს სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობები, რაც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი მუშაობისათვის საათების მეტ რაოდენობას, სააუდიტორიო მეცადინეობებისათვის გამოყოფილ საათებთან შედარებით. პროგრამის სამეცნიერო - კვლევითი ნაწილი ითვალისწინებს სადისერტაციო თემაზე მუშაობას, სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებასა და გამოქვეყნებას.“

ამდენად, საკონტაქტო და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათების თანაფარდობა შეესაბამება დოქტორანტურის სასწავლო და სამეცნიერო ნაწილების თანაფარდობას, ხოლო კონკრეტული საგნის სააუდიტორიო და დამოუკიდებელი საათები შეესაბამება კურსის მიზნისა და სწავლის შედეგის ურთიერთმიმართებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამის თვითშეფასება
- სადოქტორო პროგრამა
- სილაბუსები
- შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში შემავალი ძირითადი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს შემდგომ კომპონენტზე დაშვებისათვის აუცილებელი ცოდნის მიღებას, ამ კომპონენტებით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ლოგიკურობას. საბოლოო ჯამში ის ორიენტირებულია აუცილებელი ცოდნის მიღებასა და ზოგადი უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნულის უზრუნველყოფა ხდება პროგრამით გათვალისწინებული, სხვადასხვა კომპონენტების თანმიმდევრობისა და სინთეზის საფუძველზე.

არჩევითი ბლოკის უმეტესი საგნების ჩაშენება ამ ლოგიკურ ჯაჭვში ჰარმონიულად ხდება. მაგრამ კითხვებს აჩენს არჩევითი ინტერდისციპლინური სემინარების ჯგუფიდან კურსი: „თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები“.

კერძოდ, არჩევითი კურსის „თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები“. Adobe Photoshop, Adobe Illustrator, Adobe InDesign ბაზაზე“ წინაპირობა „კურსის შესასწავლად დოქტორანტი უნდა ფლობდეს კომპიუტერთან მუშაობის ელემენტარულ უნარ ჩვევებს“, ზედმეტად გამარტივებულია. ხოლო მისი მიზნებიდან „საფუძველი ჩაუყაროს დოქტორანტის ცოდნის იმ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელსაც შემდგომში გამოიყენებს სამეცნიერო-საკვლევო თემის სრულყოფილად შესრულებისა და პრეზენტაციის მომზადებაში“, იკვეთება, რომ ციფრული ტექნოლოგიები არის საბოლოო სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრის შესრულების ტექნიკური საშუალება. შესაბამისად, დოქტორანტი პროგრამის საბოლოო მიზნის მისაღწევად ამ ტექნიკურ საშუალებას ძალზე მაღალ დონეზე უნდა ფლობდეს.

ამასთან, კურსი იწყება უმარტივესი დონიდან (მაგ. მე-2 კვირის თემა -Adobe Photoshop პროგრამის ინტერფეისი, ხელსაწყოები), რომელიც არარელევანტურია დოქტორანტურაში სწავლების მსურველისათვის, რადგან გაცილებით დაბალია, ვიდრე სავარაუდო წინაპირობით უნდა იყოს მოთხოვნილი.

სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარებისას მომავალი დოქტორანტი ორგანზომილებიან პროგრამას Adobe Photoshop-ს, სრულყოფილად თუ არა, კარგად მაინც უნდა ფლობდეს. ამდენად, სასწავლო კურსი უფრო მაღალი საფეხურიდან უნდა იწყებოდეს.

მეორე არჩევითი კურსი „თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები Autodesk 3ds Max, Autodesk Maya, Autodesk AutoCAD, Zbrush - ის ბაზაზე“ გაცილებით მეტ კითხვებს ბადებს. მისი წინაპირობა „კურსის შესასწავლად დოქტორანტი უნდა ფლობდეს კომპიუტერთან მუშაობის ელემენტარულ უნარ ჩვევებს“ უფრო ნაკლებადაა შესაბამისი: სამგანზომილებიანი გრაფიკის პროგრამების საწყისი ეტაპიდან დაწყება გულისხმობს, რომ დოქტორანტს არ აქვს საბაზისო ცოდნა ციფრული ტექნოლოგიების ამ დარგში.

შესაბამისად, კურსის მიხედვით დასახული მიზნების „დოქტორანტურის სტუდენტებს, საფუძვლიანი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შესძინოს სამგანზომილებიანი ციფრულ პროგრამებში სამუშაოდ, რათა შემდგომში მათი დახმარებით დოქტორანტმა შეძლოს სამეცნიერო საკვლევ თემაში არსებული სამგანზომილებიანი საკითხების თვალსაჩინოთ შესრულება, იქნება ეს ციფრული მოდელირება, ვიზუალიზაცია თუ ანიმაცია“ მისაღწევად:

ა) განკუთვნილი 5 კრედიტი (ერთ სემესტრში 32 საკონტაქტო საათის პირობებში) არაა საკმარისი იმ დოქტორანტათვის, რომლებსაც წინა აკადემიურ საფეხურებზე არ აქვთ მიღებული განათლება შესაბამისი მიმართულებით და არ ფლობენ სათანადო კომპეტენციებს. შესაბამისად, ამ ტიპის დოქტორანტს სილაბუსით გაწერილი კომპეტენციების მიღება აღნიშნულ დროში გაუჭირდება.

ბ) 3D პროგრამის საწყისი ეტაპიდან დაწყების პირობებში სრულფასოვანი კომპეტენციების დასაუფლებლად სასურველია მეტი მოცულობის (10-15 ECTS) კურსის გავლა. კურსის წინაპირობის შეცვლის შემთხვევაში (შესაძლებელია სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარებისას ციფრულ ტექნოლოგიებში ტესტირების ჩატარება), სწავლება უნდა დაიგეგმოს უფრო მაღალი საფეხურიდან. სავარაუდოდ, 5 კრედიტი/32 საკონტაქტო საათი/ შესაძლოა ამ შემთხვევაშიც არ აღმოჩნდეს საკმარისი. ამდენად, ორივე ინტერდისციპლინური სემინარის „თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები“ სილაბუსების განხილვისას გამოიკვეთა კურსზე დაშვების წინაპირობების დაკონკრეტების მიზანშეწონილობა სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ასევე კურსის შინაარსის და სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ კრედიტების რაოდენობას შორის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეს დისციპლინები, რომელთა მნიშვნელობა სწავლების შედეგების მისაღწევად და კვლევითი კომპონენტის შესასრულებლად ძალზე დიდია, თავისი სტატუსით, მოცულობითა და შინაარსითაც სასურველია არჩევითი ბლოკიდან სავალდებულო/ძირითად ბლოკში მოიაზრებოდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ სადოქტორო პროგრამის თვითშეფასება ☐ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ☐ სილაბუსები
რეკომენდაციები: რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ციფრული ტექნოლოგიების შემსწავლელ კურსებზე დაშვების წინაპირობები იყოს დაკონკრეტებული და გამკაცრებული. • სასურველია ციფრული ტექნოლოგიების შემსწავლელი კურსები უფრო გაღრმავებული შინაარსით და გაზრდილი მოცულობით იყოს სავალდებულო ბლოკში ინტეგრირებული იმ დოქტორანტებისთვის, რომელთაც წინა აკადემიურ საფეხურებზე მიღებული განათლებით არ აქვთ ამ სფეროში შესაბამისი კომპეტენციები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის შეფასების მეთოდები პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით.

პროგრამის სასწავლო კომპონენტთა სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ECTS შესაბამისად, 100 ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A)ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B)ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C)კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D)დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E)საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX)ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
- F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

რაც შეეხება პროგრამის კვლევით კომპონენტს, მისი შეფასების სისტემა ასევე შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას (საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ).

შეფასების მეთოდები და კომპონენტები აწერილია თითოეული კურსის სილაბუსში. შეფასების მეთოდის არჩევა სასწავლო კურსსა, სემინარსა თუ კვლევით კომპონენტში ხდება წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების გათვალისწინებით. სტუდენტის შეფასების მეთოდები, დარგის და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით არის შერჩეული, მრავალფეროვანია და დაკავშირებულია სწავლის შედეგების მიღწევასთან.

აღნიშნული მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამის თვითშეფასება
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების შესახებ მიიღონ კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამიდან (სილაბუსიდან), საგნის პედაგოგისაგან ან პროგრამის ხელმძღვანელისგან.
- მიღებული შეფასებების გაცნობის საშუალება სტუდენტებს აქვთ თსსა ვებ-გვერდზე არსებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის საშუალებით.
- შეფასების კრიტერიუმების წინასწარი ცოდნა, აგრეთვე ინფორმაცია შეფასებების შესახებ მათ საშუალებას მისცემთ გაითვალისწინონ საკუთარი ხარვეზები და ოპერატიულად იზრუნონ მათ გამოსწორებაზე.
- სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე სტუდენტებთან მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა ინდივიდუალური მუშაობა, რაც სტუდენტებს ხელს უწყობს შეფასებისთანავე მიიღონ ინფორმაცია, გაიარონ კონსულტაცია პედაგოგთან და აღმოფხვრან ნაკლოვანებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამის თვითშეფასება
- სილაბუსები
- გასაუბრება სტუდენტებთან
- ინტერვიუს შედეგები
- თსსა ელექტრონული სისტემა www.emis.art.edu.ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ჯგუფური ან/და ინდივიდუალური კონსულტაციები როგორც პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, ისე პროგრამის კოორდინატორთან და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან. სტუდენტები სიახლეების შესახებ ინფორმაციას იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდის, ელექტრონული მეილისა და ადმინისტრაციასთან უშუალო კომუნიკაციის საშუალებით. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა კმაყოფილება გამოთქვეს მათ სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობის შესახებ. ისინი ძალზე პოზიტიურ კონტექსტში აღნიშნავენ ხელმძღვანელების მიერ გაწეული კონსულტაციების ინტენსივობასა და ხარისხს.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ გამოთქმული იქნა კმაყოფილება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ციფრული ტექნოლოგიების მზარდი და სწრაფადგანვითრებადი თანამედროვე მიმდინარეობების ფართო ცოდნით, ტექნოლოგიების სფეროში არსებული თანამედროვე და თანადროული ინფორმაციის სწრაფი უზრუნველყოფით, დარგობრივ სფეროში მანევრირების და ახალი ცოდნის შესაქმნელად ექსკლუზიური კომბინაციების აგების უნარით, შესაბამისი მეცნიერული და სახელოვნებო ფაქტორების სინთეზირების უნარით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები
- მედიახელოვნების ფაკულტეტის ვიზუალური კომუნიკაციისა და მედიახელოვნების ინსტიტუტის დებულება
- ინტერვიუს შედეგები (გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან. გასაუბრება პროგრამის სტუდენტებთან)

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება
✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ლექტორებს გამოყოფილი აქვთ სტუდენტებისთვის საკონსულტაციო საათი. თითოეული საგნის სილაბუსში მითითებულია აღნიშნული საათის შესახებ. საკონსულტაციო საათების ჩატარების ვალდებულება ასევე გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის ბადაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სილაბუსები • აკადემიური პერსონალის დატვირთვის ბადა • გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან • გასაუბრება პროგრამის სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარდა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტისა, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება ჩაერთონ სხვადასხვა სახის პროექტებსა და კვლევებში. მაგალითისთვის დოქტორანტები მონაწილეობას იღებდნენ შემდეგ პროექტებში: Multimedia, Architecture – Augmented-Reality Tbilisi-ARTbilisi; Degree & Profession – Tbilisi Regional Festival; Profession – Florence World Festival; მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი - კვლევითი ვიზიტი; გამოფენა “ეკო-შთაგონება” ევროპის სახლის და არტ&პროფ - ის ერთობლივი პროექტი; გამოფენა “ჩემი სახელია” ქალთა ფონდის და არტ&პროფ - ის ერთობლივი პროექტი; 2015-2016 წლებში დაიგეგმა და განხორციელდა შემოქმედებითი კვლევითი პროექტი “სერგო ქობულაძის ოპერის თეატრის ფარდის ესკიზის მიხედვით აღდგენა - რეაბილიტაცია.”

გარდა ამისა დოქტორანტები ჩართულები არიან ფაკულტეტის ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციებში, ასევე ხშირად მონაწილეობენ სამეცნიერო გრანტის მოპოვების კონკურსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან
- გასაუბრება პროგრამის სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსა და მედიახელოვნების ფაკულტეტი ჩართულია საერთაშორისო ფორუმებში და ვორქშოპებში. მედიახელოვნების ფაკულტეტი თანამშრომლობს გოეთეს, რომუალდო დელბიანკოს, პოზნანის სახელოვნებო და აზერბაიჯანის არქიტექტურის უნივერსიტეტებთან. არსებული მემორანდუმების ფარგლებში ტარდება სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი პროექტები, რომელშიც ჩართულნი არიან როგორც პროგრამის სტუდენტები ასევე აკადემიური პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მემორანდუმი დელბიანკოს უნივერსიტეტთან
- მემორანდუმი პოზნანის სახელოვნებო უნივერსიტეტთან
- მემორანდუმი აზერბაიჯანის არქიტექტურის უნივერსიტეტთან
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრება პროგრამის სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსა-ის და კერძოდ, ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მედიახელოვნების ფაკულტეტზე არსებობს ვიზუალური კომუნიკაციისა და მედიახელოვნების ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით, ვაკუუმის ციფრული პლანშეტითა და სხვა თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით. მედიახელოვნების ფაკულტეტზე მუშაობს სხვადასხვა სახის სტუდიები, სპეციალური საპრეზენტაციო დარბაზი, ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები, საბიბლიოთეკო ფონდები, უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული ბაზები სამაკეტო და სამონტაჟო კლასები: ანიმაციური სტუდია, ფოტოსტუდია, სპეციალური საპრეზენტაციო დარბაზი.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს პროგრამის მოთხოვნებს; რესურსების განვითარება/განახლება მუდმივია (ყოველწლიური) რაც განპირობებულია პროფესიული (დარგობრივი) აუცილებლობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადგილზე გადამოწმება
- სადოქტორო პროგრამა
- ვიზუალური დათვალიერება
- თვითშეფასების ანგარიშის დადასტურების ნაწილში მითითებული თითოეული დოკუმენტის გაცნობა
- ინტერვიუება
- სამუშაო შეხვედრები
- სილაბუსები
- დამატებითი ინფორმაციის მოძიება

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიურ პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენტურობა, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, კონფერენციებში მონაწილეობით, პრაქტიკული პროექტებით და პუბლიკაციებით. მიმდინარე წელს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორების მიერ შემუშავდა ორწლიანი სამეცნიერო პროექტი, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდშია წარდგენილი ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო გრანტის მოსაძიებლად. პროექტის განხორციელებაში ჩართული იქნებია პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 1 ემერიტუსი პროფესორი, 4 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 2 მოწვეული პროფესორი. პროგრამა დაასრულა 3 სტუდენტმა. პროგრამაზე ამჟამად სწავლობს 11 სტუდენტი, სტატუსი შეჩერებული აქვს 2 სტუდენტს. პროფესორთა აღნიშნული რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. სადოქტორო პროგრამის მნიშვნელობა აკადემიური პერსონალის კვლავწარმოებისთვის დიდია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური პერსონალის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის პირობები და ოქმები ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები და პირადი საქმეები ○ აკადემიური პერსონალის პუბლიკაციები ○ სამეცნიერო პროექტის დოკუმენტაცია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე, კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით: ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ვიზუალური კომუნიკაციისა და მედიახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერთანამშრომლები, ფაკულტეტის მდივანი. ფაკულტეტის სპეციფიკის შესაბამისი დამხმარე პერსონალი - დეკანის თანაშემწე, მენეჯერი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თსსა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე აყვანის ხელშეკრულებები ○ თანამშრომელთა პირადი საქმეები ○ თსსა საშტატო განრიგი
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტებისათვის გამოიყენება თანამედროვე სპეციალური ლიტერატურა, რომლის ფონდიც ყოველწლიურად ახლდება. სასწავლო მასალებში განიხილება სფეროს განვითარების თანამედროვე მიდგომები და ტენდენციები. თსსა-ს აქვს გაფორმებული ხელშეკრულება გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრთან ბიბლიოთეკით სარგებლობის შესახებ. ამასთან, თსსა ბიბლიოთეკა ჩართულია ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელებში Grove Art და Elsevier, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა და სამეცნიერო პერიოდიკა. ამავე დროს, ეს ჩართულობა საშუალებას აძლევს თსსა აკადემიურ პერსონალს და პროგრამის სტუდენტებს ელექტრონულ პერიოდულ გამოცემებში განათავსონ საკუთარი კვლევები. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი გეგმიურად ახლდება პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ მოთხოვნილი უახლესი გამოცემებით. პერსონალის გამოკითხვის საფუძველზე იგეგმება ასევე სამომავლო შესყიდვების ნუსხა. სადოქტორო პროგრამის დებულებით განსაზღვრულია თითოეული დოქტორანტის ვალდებულება საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის შემდეგ გამოსაცემად მოამზადოს მონოგრაფია. ფაკულტეტი აფინანსებს ამ გამოცემებს, მონოგრაფიები იბეჭდება თსსა სამეცნიერო კვლევების გრიფით, რაც უახლესი ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის სარგებლობის საშუალებას აძლევს თსსა სტუდენტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თსსა საბიბლიოთეკო ფონდი და ხელშეკრულებები ○ ბიბლიოთეკის კატალოგით
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): როგორც აღინიშნა, სადოქტორო პროგრამის დებულებით განსაზღვრულია თითოეული დოქტორანტის ვალდებულება საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის შემდეგ გამოსაცემად მოამზადოს მონოგრაფია. ფაკულტეტი აფინანსებს ამ გამოცემებს, მონოგრაფიები იბეჭდება თსსა სამეცნიერო კვლევების გრიფით, რაც უახლესი ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის სარგებლობის საშუალებას აძლევს თსსა სტუდენტებს. შესაბამისად, ფაკულტეტის მიერ აღნიშნული გამოცემების დაფინანსება საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსსა და ფაკულტეტის ბიუჯეტების ფარგლებში. თსსა წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით დამტკიცდა ფინანსური მენეჯმენტის ახალი წესი, რომელიც ე.წ. per capital პრინციპს ეფუძნება. ამ წესის შესაბამისად განისაზღვრა ფაკულტეტების ბიუჯეტების ფორმირების წესიც, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ თავად დაგეგმონ და განკარგონ საკუთარი ბიუჯეტი. ამჟამად სადოქტორო პროგრამების ფინანსური მენეჯმენტის თვალსაზრისით მოქმედებს ერთიანი რეგულაცია, რომლის თანახმადაც, დოქტორანტები იხდიან მხოლოდ სასწავლო კომპონენტის ღირებულებას სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი ტარიფის მიხედვით. ამდენად, სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ეფუძნება სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ გადახდილ საფასურს და ფაკულტეტის ბიუჯეტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ თსსა ბიუჯეტი ○ მდიახელოვნების ფაკულტეტის ბიუჯეტი ○ ფაკულტეტების ბიუჯეტის ფორმირების წესი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): თსსა სადოქტორო პროგრამების ფინანსური მენეჯმენტის ერთიანი რეგულაცია, რომლის თანახმადაც, დოქტორანტები იხდიან მხოლოდ სასწავლო კომპონენტის ღირებულებას სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი ტარიფის მიხედვით. მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს თითოეული ფაკულტეტის ანალოგიურ სამსახურთან. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მთავარი პრინციპია

“დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლის განხორციელება, რომლის უზრუნველსაყოფადაც სამსახურს მკაფიოდ აქვს გაწერილი შესაბამისი ფუნქციები.

თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს კონტროლი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სასწავლო პროცესების ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, პასუხისმგებელია ამ პროცესის წარმართვასა და მონიტორინგზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შეფასების შემდეგ მექანიზმებს: ფაკულტეტის თვითშეფასება; სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვები; მიზანმიმართული კვლევა; პროგრამის შეფასების კრიტერიუმები.

აკადემიაში ხარისხის მართვის შიდა შეფასების მექანიზმები წარმოდგენილია შემდეგი სხვადასხვა ნორმატიული დოკუმენტების სახით, რომელებიც განთავსებულია ვებ-გვერდზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მნიშვნელოვანი აქტივობაა სტუდენტთა პერმანენტული გამოკითხვები. პროგრამის განვითარების თვალსაზრისით იგეგმება ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები.

თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს თანმიმდევრულ პროცესებს, შესაბამის მექანიზმებსა და პროცედურებს, რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების პროცესების, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის ხარისხის შეფასება და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი ამოცანებია:

- უნივერსიტეტის დახმარება მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში;
- უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პერიოდული შეფასება, მონიტორინგი და შედეგების ანალიზი საქმიანობის ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით;
- უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის განვითარების ხელშეწყობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სტრუქტურა

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს ყველა იმ ელემენტს, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. იგი უნივერსიტეტის მართვის პროცესის შემადგენელი ელემენტების: დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივირებისა და კონტროლის განუყოფელი ნაწილია. სისტემა მოქმედებს უნივერსიტეტის მისიის, პოლიტიკის, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების კონტექსტში, აგრეთვე, ეყრდნობა იმ ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებს, რითიც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტი თავის საქმიანობაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ახორციელებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად, ერთმანეთთან დაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება და გაუმჯობესება (Planning, Implementing, Checking and Improving-PICI).

შესრულებული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით გამოიყენება უნივერსიტეტის ოფიციალური სტრუქტურები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება სხვადასხვა საქმიანობა თუ ინიციატივა ამ მიმართულებით.

კონკრეტულად ამ პროგრამასთან, ისევე, როგორც ყველა სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემოღებულ იქნა დოქტორანტთა „მრგვალი მაგიდის“ ე. წ. სადისკუსიო კლუბი, რაც მიზნად ისახავს დოქტორანტთა აქტიურ ჩართულობას პროგრამების განვითარებაში, ღია მსჯელობას ყველა ასპექტზე, სწავლების, კვლევისა თუ შემოქმედებითი აქტივობების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ სწორედ დოქტორანტთა გამოკითხვებისა თუ ფოკუს-ჯგუფების გაანალიზების საფუძველზე დაემატა პროგრამას ინტრედისციპლინური არჩევითი კურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება ☐ საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსის შემოწმების ფორმები ☐ თსსა აკადემიური საბჭოს სხდომების ოქმები ☐ ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები ☐ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს ფაკულტეტის თვითშეფასების მექანიზმი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია პროგრამის მოდიფიცირება, სასწავლო პროცესის ოპტიმალურად დაგეგმვა და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესება. საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად აკადემიაში მოქმედებს შიდა შეფასების შემდეგი მექანიზმები: პროგრამების და სასწავლო კურსების პროგრამების შეფასება სპეციალური ფორმების მეშვეობით, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა, პროგრამის ხელმძღვანელების ანგარიში. გამოკითხვების შედეგების ანალიზზე ხდება პროგრამის მიმდინარეობის შეფასება, კორექტირება ან მოდიფიცირება, ასევე, შესაძლებელია კორექტივების შეტანა პროგრამის ორგანიზების საკითხებში, სასწავლო პროცესის ოპტიმალურად დაგეგმვა და სწავლის შედეგების შეფასება. კონკრეტულად, აღნიშნული ქმედებების შედეგად პროგრამას დაემატა ინტერდისციპლინური არჩევითი სასწავლო კურსები, რაც ერთ-ერთი წარმატებული ნაბიჯია აღნიშნული პროგრამის განვითარების პერსპექტივით.

მედიახელოვნების ფაკულტეტის კურსდამთავრებულები, რომლებსაც წარმატებული პრაქტიკული კარიერა აქვთ, აგრძელებენ სწავლას სადოქტორო საფეხურზე, რათა თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება მეცნიერული კვლევით გააღრმონ, ან გააგრძელონ აკადემიური კარიერა.

გარე შეფასების მექანიზმს პროგრამების თვითშეფასების და აკრედიტაციის პროცესისათვის მომზადება წარმოადგენს, ექსპერტთა რეკომენდაციების განხილვა და განხორციელება ამ შეფასების გათვალისწინების ერთ-ერთი ქმედითი ფორმაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- მედიახელოვნების ფაკულტეტის ვიზუალური კომუნიკაციისა და მედიახელოვნების ინსტიტუტის ნორმატიული დოკუმენტები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ დაირთავს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
 სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
 სადოქტორო პროგრამა: ციფრული და გეომეტრიული მოდელირება
 დასკვნის გვერდების რაოდენობა:
 40 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓		
საბოლოო შეფასება	✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თაბუკ ვაჩხაძე ა. შიჩი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

სადოქტორო პროგრამა: ციფრული და გეომეტრიული მოდელირება

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

40 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓		
საბოლოო შეფასება	✓		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მაჩიკა გამსეფნიშვილი

მ. ვახსკელი

ნინო ქუნიძე-ჯეზენიძე